ლაგოდეხის დაცული ტერიტორიები

ვიზიტორთა ქცევის წესები

<u>ვიზიტორთათვის დაშვებულია:</u>

- მონიშნულ ბილიკზე ფეხით ან ცხენით გადაადგილება
- სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა სპეციალური ნებართვით
- საპიკნიკე და საკემპინგე ადგილებით სარგებლობა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში
- ცეცხლის დანთება სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში
- ფლორასა და ფაუნაზე დაკვირვება

<u>ვიზიტორთათვის არ არის დაშვებული:</u>

- ნადირობა, ასაფეთქებელი და მომწამლავი ნივთიერებების, ცეცხლსასროლი იარაღის ან ნებისმიერი ისეთი ნივთის ტერიტორიაზე შეტანა, რომელიც საფრთხეს უქმნის გარემოს
- გარემოს დანაგვიანება
- შინაური ცხოველის ტერიტორიაზე შეყვანა
- ვანდალიზმი, ბუნებისა და ინფრასტრუქტურის დაზიანება
- მცენარეების ან მათი ცალკეული ნაწილების, ქანების ან ნამარხი მასალების აღება
- ფაუნის ნებისმიერი წარმომადგენლის დაჭერა, გამოდევნა ან ზიანის მიყენება
- ხმაური
- სპეციალური ნებართვის გარეშე ბუნებრივი და კულტურული მასალების შეგროვება
- საქართველოსთვის უცხო ორგანიზმების შეყვანა და გავრცელება
- ცეცხლის დანთება (სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა)
- მოტორიანი ტრანსპორტით გადაადგილება (ავტომობილი, მოტოციკლი, კვადროციკლი, ბაგი) და საფრენი აპარატის გამოყენება
- ზედამხედველის გარეშე 18 წლამდე მოზარდის შესვლა
- მოწევა დახურულ სივრცეში
- ბანაობა შიდა წყალსატევებში

<u>გაფრთხილება:</u>

- სასურველია უხეში ქსოვილის შარვლის, მაღალყელიანი სალაშქრო ფეხსაცმლის ჩაცმა
- თან იქონიეთ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა
- თან იქონიეთ საველე საკვები და წყალი
- უამინდობის (ძლიერი წვიმა, ქარიშხალი, დიდთოვლობა, ნისლი) დროს, ვიზიტორთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით, მარშრუტით სარგებლობა არ არის რეკომენდებული.
- სასურველია გიდის ან გამყოლის თანხლება
- არაფხიზელ მდგომარეობაში ტერიტორიაზე შესვლა არ არის რეკომენდებული
- თქვენ იმყოფებით ველურ ბუნებაში, სადაც ბინადრობენ გარეული ცხოველები და ქვეწარმავლები, არ გადაუხვიოთ ბილიკიდან, იმოძრავეთ ნელა და ყურადღებით
- უსაფრთხოების მიზნით მოერიდეთ ხეზე და კლდეზე ასვლას, კლდის/ხევის ან ფერდობის კიდესთან მიახლოებას
- დაცულ ტერიტორიებზე კომერციული/არაკომერციული მიზნით ფოტო და ვიდეო გადაღება საჭიროებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს/ტერიტორიული ადმინისტრაციის თანხმობას, განაცხადის შევსება და შესაბამისი ინფორმაციის წარდგენა შესაძლებელია ვებგვერდზე: https://parks.ge/#/register
- ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების საზღვრებში მოქცეულ სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში ფოტო/ვიდეო გადაღება საჭიროებს საქართველოს სასაზღვრო პოლიციის დამატებით თანხმობას. სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში მოგზაურობისთვის, აუცილებელია შესაბამისი საშვის წინასწარ აღება. საშვის მისაღებად სპეციალური განაცხადის ფორმის შევსება შესაძლებელია ბმულზე: https://bpg.gov.ge/page/public-relations/information-for-tourists

წესების დარღვევის შემთხვევაში ვიზიტორი დაჯარიმდება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად